NEWSLETTER (April,2015)

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა

30 აპრილს საქართველოს პარლამენტი ღია მმართველობის პარტნიორობას შეუერთდა. პროექტის "ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა" ფარგლებში პარლამენტის შენობაში საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციასა და მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონია გაიმართა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა, საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის წევრმა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა. IDFI-ს მხრიდან მემორანდუმს ხელი ორგანზიაციის დამფუძნებელმა და დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა მოაწერა.

ხელმოწერის ცერემონიამდე IDFI-ს გამგეობის თავმჯდომარემ, ლევან ავალიშვილმა გამართა IDFI-ს მიერ მომზადებული კვლევის "საპარლამენტო ღიაობის საკითხები ღია მმართველობის პარტნიორობის წევრ ქვეყნებში" პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის მონაწილე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. შეხვედრას თავმჯდომარეობდა საქართველოს პარლამენტის წევრი და ინტერფრაქციული ჯგუფის შემადგენლობაში შექმნილი სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი ქალბატონი გუგული მაღრაძე.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში IDFI-ს ორგანიზებით ინტერფრაქციული ჯგუფის და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა 3 აპრილს გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრას თავმჯდომარეობდა ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი თინათინ ხიდაშელი.

მოგვიანებით, პროექტის ფარგლებში გაიმართა საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის მონაწილე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრაც, რომლის მონაწილეებმა განიხილეს „ღია მმართველობის პარტნიორობის" ინიციატივაში (OGP) საქართველოს პარლამენტის როლის გაზრდის და საქართველოში საპარლამენტო ღიაობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობის საკითხები.

მრჩევლის ინსტიტუტი საჯარო დაწესებულებებში

IDFI-ს მიერ მომზადებულ კვლევაში „მრჩევლის ინსტიტუტი საჯარო დაწესებულებებში" გამოიკვეთა:

1. ნეპოტიზმის და ადმინისტრაციული ხარჯების არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევები;
2. მინისტრების მრჩევლების თანამდებობებზე რიგ შემთხვევებში დანიშნულები არიან, ე.წ. „ოდეერები".
3. მინისტრების, მინისტრების მოადგილეებისა და სხვა საჯარო უწყებების ხელმძღვანელთა მრჩევლების უფლება- მოვალეობები არ არის დაკონკრეტებული.

პროკურატურის სტატისტიკა ინტერპოლით ძებნის გამოცხადებასა და ექსტრადირებაზე (2010-2015)

IDFI-იმ მომაზადა ანალიზი საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ეხება 2010-2015 წლებში საქართველოს პროკურატურის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნის გამოცხადების თხოვნით ინტერპოლის გენერალური სამდივნოსათვის გაგზავნილი და მათ მიერ დაკმაყოფილებული მიმართვების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას. ასევე, საზღვარგარეთის სამართალდამცავი ორგანოებისათვის ძებნილ პირთა ექსტრადაციის შესახებ დაყენებული შუამდგომლობების რაოდენობას.

მრგვალი მაგიდა – მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტის გაძლიერება საქართველოში

IDFI–ს დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა, საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის სამეფოს მხარდაჭერით გამართულ მრგვალი მაგიდის – „მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტის გაძლიერება საქართველოში" ფარგლებში მამხილებელთა დაცვის საკანონმდებლო რეგულაციებში არსებული ხარვეზების და გამოწვევების აღმოფხვრა-გაუმჯობესების მიზნით სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები და ხედვები წარმოადგინა.

დევნილთა ჩასახლებები და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა (2009-2015)

საქართველოში რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობა 2015 წლის მარტის მონაცემებით შეადგენს 263 598 ადამიანს, რომელთაგან 122 383 კაცია, ხოლო 141 215 ქალი. IDFI-ს მიერ მიღებული ინფორმაცია შეიცავს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ მისამართებს, დეტალურად ქუჩისა და ნომერის მითითებით.

2009 წლიდან დღემდე საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცა ჯამში 18 679 ოჯახს.

დევნილთა სოციალური უზრუნველყოფისათვის სამინისტროს ბიუჯეტიდან თანხის ყველაზე დიდი რაოდენობა გამოიყო 2014 წელს (7 965 959 ლარი)

შეუსაბამოდ დაბალი ხელფასები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემების გასარკვევად IDFI-იმ აღნიშნულ უწყებას მიმართა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. ცენტრიდან სრულყოფილად მოწოდებული დოკუმენტაცია ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ უწყებაში დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურება ყოვლად შეუსაბამოა საქართველოს საჯარო სექტორში არსებულ სახელფასო პოლიტიკასთან. ცენტრში შტატით გათვალისწინებულია 113 თანამშრომელი, მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო (დირექტორის ანაზღაურება) შეადგენს 490 ლარს (ხელზე 392 ლარი), ხოლო საშუალო ხელფასი - 300 ლარს.

სტატისტიკური მონაცემები C ჰეპატიტით და აივ ვირუსით ინფიცირებულთა შესახებ 2006-2014

IDFI-მ მოამზადა საქართველოს შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, საქართველოში C - ჰეპატიტის HCV ვირუსით და HIV ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის შესახებ.

აბორტების სტატისტიკა საქართველოში 2004-2014

2015 წლის 16 აპრილს IDFI-იმ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიიღო ინფორმაცია 2013-2014 წლებში საქართველოში ჩატარებული აბორტების რაოდენობის შესახებ. განვლილ წლებში იმავე სამინისტროდან მიღებული ანალოგიური შინაარსის მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს წარმოგიდგინოთ 2004-2014 წლებში საქართველოში ორსულობის შეწყვეტის ფაქტების ტენდენციები.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა IDFI–ს სარჩელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წინააღმდეგ

2015 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა IDFI–ს სარჩელი საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წინააღმდეგ. უწყებას დაევალა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გასცეს ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც ეხება პრემიებს, სამივლინებო ხარჯებს, უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სხვა საჯარო ინფორმაციას.

უძრავი ქონების ბაზრის გამჭვირვალობა აშშ-ში და არასამთავრობოების მიმართვა ამერიკის მთავრობას

IDFI დაინტერესდა აშშ-ში უძრავი ქონების ბაზარზე არსებული მდგომარეობით და საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით გთავაზობთ მიმოხილვას, რომელიც მოიცავს არასამთავრობოების, მათ შორის საერთაშორისო გამჭირვალობა -ამერიკის, მიმართვას ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა დეპარტამენტისადმი, (სამინისტროს) უზრუნველჰყოს უცხოელი მესაკუთრეების წარმომავლობის გადამოწმება.

ტრენინგი სტუდენტებისთვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებზე

IDFI-ს წარმომადგენლებმა, ნინო მერებაშვილმა და თამარ იაკობიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) ორგანიზებით განხორციელებული პროექტის „პერსონალური მონაცემების დაცვა და გამოხატვის თავისუფლება“ ფარგლებში სტუდენტებისთვის ჩაატარეს ორდღიანი ტრენინგი თემაზე - ინფორმაციის საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა საქართველოში.

არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების თაობაზე ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით

IDFI შეუერთდა არასამთავრობოების განცხადებას, რომლებიც მოუწოდებენ პარლამენტს გაატაროს ეფექტური პოლიტიკა კანონმდებლობაში უკვე არსებული ნორმების სათანადო აღსრულების მიზნით, კერძოდ, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტურად გამოძიებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების განუხრელად დაცვის კუთხით.

კოალიციის მოსაზრებები პროკურატურის რეფორმის კონცეფციასთან დაკავშირებით

კოალიცია “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის”, რომლის აქტიური წევრიც გახლავთ IDFI, გამოეხმაურა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ წარმოდგენილ პროკურატურის რეფორმის კონცეფციას და საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები წარმოადგინა კონცეფციით შემოთავაზებულ ისეთ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა:

1. მთავარი პროკურორის კანდიდატურის ნომინირება
2. საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტება
3. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პარლამენტში
4. პროკურატურის ანგარიშვალდებულება

არასამთავრობოების განცხადება ბიძინა ივანიშვილის მიერ ეკა გიგაურისა და კახა კოჟორიძის მისამართით გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციას და უერთდება მიმართვას ყოფილი პრემიერის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებზე ბოლო დროს განხორციელებული სიტყვიერი თავდასხმების შესახებ.

Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research